# ხელოვნების დისკურსული მრავალფეროვნება მედიის ჭრილში საქართველოსა და ამერიკის მაგალითზე

ასმათ წერეთელი

***საკვანძო სიტყვები:*** *მედია, კულტურა, ხელოვნება, დისკურსული მრავალფეროვნება*

კულტურა და ხელოვნება საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის ფუნდამენტური ნაწილია; მოიცავს საზოგადოების ყველა ასპექტს - ღირებულებებს, შეხედულებებს, მრწამსს, ტრადიციებს, რომლებიც ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა. წლების განმავლობაში კულტურული გემოვნება, სოციალურ გარემოცვასთან ერთად, საზოგადოების გავლენით ყალიბდებოდა. მედიამ კი ეს სფერო უსასრულოდ გააფართოვა და ამ სპექტრის სრულიად ახალი ველი შექმნა.

ხელოვნებაში ორჯერ ორი ყოველთვის ოთხი არ არის. ხელოვნების ნაწარმოები, პირველ რიგში, მხატვრულ მოვლენად უნდა განიხილებოდეს და არა პუბლიცისტიკად, ანუ შინაარსზე არანაკლებ მნიშვნელოვანი არსია. არც თუ იშვიათად დავობენ იმაზე, აუმჯობესებს თუ არა ხელოვნება ადამიანს, შეუძლია კი, უფრო კეთილშობილი გახადოს ის. ხელოვნების ეფემერულ დისკურსში ეს ისეთივე პოპულარული (და ამავე დროს ცარიელი) შეკითხვაა, როგორც იურისპრუდენციაში - „რატომ ჩადის ადამიანი დანაშაულს?", ან ფილოსოფიაში - „საიდან ჩნდება ფიქრი?".

ხელოვნების დისკურსულ მრავალფეროვნებას მედიის ჭრილში განვიხილავთ ქართული და ამერიკული ჟურნალების მაგალითზე - „თეატრი", „არილი", „Art in America", „ARTFORUM".

კულტურის ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. კულტურის სფეროსთან ერთად, ის საზოგადოებას გონივრული გადაწყვეტილების მისაღებადაც მნიშვნელოვან და აუცილებელ ინფორმაციას აწვდის. „კულტურული გემოვნება არის ინდივიდის სოციალური ყოფის შედეგად ფორმირებული ფენომენი, რომელიც იმ სოციუმისა და ჯგუფის მსგავსია, რომელსაც ეს ინდივიდი მიეკუთვნება".[1]

ჩვენს საკვლევ ჟურნალებში - „თეატრი", „არილი", „ARTFORUM", „Art in America" -ხელოვნება მედიის ჭრილში დისკურსული მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი.

ჟურნალ „თეატრის" 2023 წლის 1 ნომერში, რუბრიკის ქვეშ „ალტერნატივა" დაიბეჭდა ვალერი ოთხოზორიას საკმაოდ საინტერესო ნარკვევი: „გავლენა და ინტერპრეტაცია", სადაც ხელოვნების, ცხოვრებისა და ადამიანის ურთიერთობის შესახებ არაერთი მოაზროვნის ხედვაა ჩამოყალიბებული. ფროიდის მიხედვით, ადამიანის ფუნდამენტური ტანჯვა გამოწვეულია სამი მთავარი მიზეზით: მოკვდავობით, სხეულის დაბერებით და ბუნების სტიქიების წინაშე დაუცველობით. „თავად ადამიანში, ფსიქოანალიტიკური მოძღვრების მიხედვით, არაცნობიერი (ირაციონალური სიმბოლო) აისბერგის წყალქვეშა ნაწილს წარმოადგენს, ცნობიერება კი მხოლოდ წვერია. აზროვნება, თავისი არსით, ეგზოტიკურია; ის ისწრაფვის გარეთ, საბოლოო ჯამში - უსასრულოსკენ".[2]

პოლიტიკური ფონის „წყალობით", თემები ქართულ მედიაში, ხშირად, პოლიტიზებულია, მათ შორის, კულტურის საკითხების გაშუქებისას. მაგრამ არის სა-

1 ბურდიე, ინდივიდი, 1990, გვ. 31.

2 ოთხოზორია, გავლენა, ჟურნალი თეატრი, #1, 2023, გვ. 50-61.

კითხები, რომელთა წარმოჩენა არ მარტო კულტურის მედიისთვის, ზოგადად, ქართული მედიასივრცისთვის აუცილებლობას კი არ წარმოადგენს, არამედ პირდაპირი მოვალეობაა. მაგალითად, ოკუპაციის თემა. თანამედროვე ქართული რეალობისთვის „პოლიტიკური თეატრის“ არსებობა ნიშანდობლივია, თუმცა, თანამედროვე ქართული თეატრის სცენაზე სპექტაკლები ისტორიულ თემატიკაზე არც თუ ისე ხშირად იდგმება. ჟურნალ „თეატრის“ 2022 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილია ლაშა ჩხარტიშვილის რეცენზია რეჟისორ გოჩა კაპანაძის ოზურგეთის თეატრში განხორციელებულ სპექტაკლზე „გურიის დედოფალი“. რეცენზიის სათაურია „ერთმორწმუნე მტრის მიერ ერთმანეთის მოძულედ ქცეული საზოგადოება“. თემა, რომელიც სათაურიდანაც ჩანს, არა მარტო XIX საუკუნის პირველი ნახევრის, არამედ თანამედროვე ქართული რეალობის პრობლემას წარმოადგენს. რიტორიკული კითხვა, რომელიც სპექტაკლში ისმის - „ერთმანეთის მოძულედ როგორ გვაქცია „ერთმორწმუნე“ მტერმა?“ - წარსულისა და დღევანდელობის ერთგვარი რეზიუმეცაა და ლოზუნგივით ჟღერს.[3]

იმავე ოკუპაციის თემას ეხმიანება ლელა ოჩიაურის რეცენზია „ხედი სასტუმრო „საქართვე-ლოდან“ პანორამით საქართველოზე“, რომელიც ჟურნალ „თეატრის“ 2020 წლის მე-2 ნომერში დაიბეჭდა. სპექტაკლი ინკლუზიური პროექტების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა და პრემიერა „აბრეშუმის თეატრის“ სცენაზე გაიმართა. ავტორის აზრით, ოკუპანტის მიერ იძულებით გადაადგილებული ადამიანების ჩაკეტილობა მათ სულში კი არა, გარშემო არსებულ რეალობაშია. სპექტაკლი, სადაც პროფესიონალი არტისტების გვერდით უსინათლო, მოყვარული მსახიობები მონაწილეობენ, შთამბეჭდავი სამსახიობო ნამუშევარია, რომელიც აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები ნამდვილად არ არსებობს, როდესაც ადამიანებს საქმის ერთად კეთების სურვილი აერთიანებთ, მაშინ ყველა ბარიერი დაძლევადია. „სპექტაკლი სევდიანიცაა და იმედიანიც, იმედიანი იმიტომ, რომ გულის სიღრმეში ყველას გვჯერა - ქართველი და აფხაზი აუცილებლად შეხვდებიან ერთმანეთს... წავლენ აფხაზურად გახმოვანებულ ფილმზე ქართული სუბტიტრებით... ისინი შეძლებენ ერთად არსებობას სპექტაკლშიც, ფილმებშიც და რაც ყველაზე მთავარია - სინამდვილეში“.[4]

ჩვენი ეპოქა რაციონალური კომუნიკაციებისა და საკომუნიკაციო რაციონალიზმის ეპოქაა. ამ გლობალურ სამყაროში ხელოვნება და ლიტერატურა - გამოცდილების, აზრის, ფიქრისა და სიტყვის ის ნასკვია, რომელიც ერს კულტურულ და ეროვნულ იდენტობას უნარჩუნებს. ამ ლანდშაფტში კი, მედიის გამოხატვის თავისუფლება - უმთავრესია. ჟურნალი „არილი“ საინტერესოდ განიხილავს ხელოვნების, ლიტერატურის, მედიისა და საზოგადოების თანაარსებობას ხელოვნების დისკურსული მრავალფეროვნების ჭრილში „კულტურულ ინვერსიებს საზოგადოება მუდამ მოელის. მოელის იმიტომ, რომ ასეთი ინვერსია არა უბრალოდ ჰაერია, ვაკუუმში სუნთქვას რომ შესაძლებელს ხდის, არამედ იმიტომ, რომ სიმართლეა. ლიტერატურულობა, არსებითად, ამ კულტურულ ინვერსიას ნიშნავს. ეს არის მისი ესთეტიკაც და მისი გონიც“.

ხელოვნებასა და ლიტერატურაში დუმილი არის ყველაზე რადიკალური და მკაცრი ფორმა. სწორედ ხელოვანისთვის მიუღებელი შემოქმედებითი პაუზის - „დუმილის ყველაზე შემაძრწუნებელ ფორმაზე“ საუბრობს ამერიკელი ნობელიანტი მწერალი ლუიზ გლიკი, 2014 წელს ჩაწერილ ინტერვიუში „დუმილის ხელოვნება“, რომელიც ჟურნალ „არილის“ 2021 წლის მე-6 ნომერში დაიბეჭდა. „ერთხელ უკვე ნათქვამის გამეორება, სიმშვიდეს არ უნდა გვანიჭებდეს. ეს უდიდესი მარცხია, რადგან ხელოვნება არ ისწრაფვის არსებულის რაიმე ფორმით მტკიცებისკენ, არამედ დამალულის და უხილავის აღმოჩენისკენ“.[5]

ხელოვნების დისკურსული მრავალფეროვნება ჟურნალ „ARTFORUM“- ის ფურცლებზე ძირითადად თანამედროვე თუ კლასიკოსი მხატვრების შემოქმედებაზე აქცენტირებით არის გამოხატული შემდეგი რუბრიკების ქვეშ: „Columns“ – „სვეტები“; „Features“ – „მახასიათებლები“; „Reviews“ – „მიმოხილვები“; „Interview“ - ინტერვიუ; „Top Ten“ - ტოპ ათეული და სხვა. ჟურნალის 2022 წლის ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა კლაუდია როკოს (Claudia La Rocco) სტატია

3 ჩხარტიშვილი, ერთმორწმუნე, ჟურნალი თეატრი, #1, 2022, გვ. 4-9.

4 ოჩიაური, ხედი, ჟურნალი თეატრი, #2, 2020, გვ. 18-29.

5 გლიკი, დუმილის, ჟურნალი არილი, #6, 2021, გვ. 1-7.

- „სარკმელი მსოფლიოში“ („Window on the World“), რომელიც იტალიაში დაბადებული და ლოს-ანჟელესში გაზრდილი მხატვრის - სიმონე ფორტის (Simmone Forti) შემოქმედებაზე მოგვითხრობს. ფორტის დაკვირვებაა: „შეგიძლიათ სარკმლიდანაც მიყუროთ! „სწორი“ სარკმელი ხომ შესანიშნავი მასწავლებელია!“ - მხატვრის ეს გამონათქვამი სტატიის ავტორს განზოგადოებული აქვს სწორი მიდგომებისა და საჭირო დროს საჭირო ადგილზე ყოფნის აუცილებლობის „ზოგადი თეორიით“, რაც ყველა სფეროში და, მათ შორის, ხელოვნებაშიც აქტუალური და საჭიროა.

„ARTFORUM“ განსაკუთრებული აქტიურობით აქვეყნებს ხელოვანი ქალების შემოქმედებას. ლორნა სიმპსონი (Lorna Simpson) ამერიკელი ფოტოგრაფი და მულტიმედიური მხატვარია, რომლის ნამუშევრები არაერთხელ გამოიფინა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. 1990 წელს იგი გახდა პირველი აფროამერიკელი ქალი, რომელმაც გამოფენა ვენეციის ბიენალეზე მოაწყო.

ჟურნალი „Art in America“, როგორც ამერიკაში, ისე საერთაშორისო მედიაში, გავლენიანია იმითაც, რომ წლების განმავლობაში ხელს უწყობს ხელოვნების არა ერთი მიმართულების შესწავლას და პოპულარიზაციას. 2022 წლის აპრილის ნომერში დაიბეჭდა მიმოხილვა ამერიკელი მხატვრის, რობერტ კოლესკოტის (Robert Colescott) გამოფენის შესახებ ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმში, სახელწოდებით „ხელოვნება და რასის მნიშვნელობა“. მხატვრის შემოქმედების სტილი მთლიანად უპირისპირდება მხატვრობის ისტორიაში შემაშფოთებელ და ზოგჯერ პოლიტიკურად არაკორექტულ კომენტარს ამერიკაში რასის შესახებ.

„Art in America“-ს 2023 წლის დეკემბრის ნომერში ჟურნალის აღმასრულებელი რედაქტორი ენდი ბატაგლია (Andy Battaglia) მკითხველს მოუთხრობს ვენეციის ბიენალეზე, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები წარმოდგენილი იქნა ჯეფრი გიბსონის (Jeffrey Gibson) შემოქმედებით. ის გახდა პირველი ინდიელი ამერიკელი ხელოვანი, რომელმაც ვენეციის ბიენალეზე სოლო შოუთი „The Space in which to Place Me“ დაიპყრო შეერთებული შტატების პავილიონი. თავის ნახატებსა და მძივებით გაფორმებულ ექსტრავაგანზებში გიბსონი ასახავს ამერიკულ ისტორიებს. როგორც ჟურნალში დაიწერა, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ამერიკაში ფერადკანიანი მხატვრების დისკრიმინაციის გაქრობას, სანამ მსოფლიო მზად იქნებოდა მათი ნამუშევრების აღიარებისთვის.

„Art in America“-ს ყოველწლიურად აქვს ნომრის დამატება - „New Talent“, რომელიც გამოცემის ერთგვარი „გადატვირთვაა“ ახალი ფუნქციებით, ელეგანტური დიზაინით და საინტერესო მიდგომით გარეკანთან. სწორედ „New Talant“ აცნობს მკითხველს ახალბედა ხელოვანებს, რომლებიც მსოფლიო ხელოვნების სცენაზე ყოველწლიურად ჩნდებიან.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილეთ ხელოვნების დისკურსული მრავალფეროვნება მედიის ჭრილში ორი ქართული და ორი ამერიკული ჟურნალის - „თეატრი“, „არილი“, „Art in America“, „ARTFORUM“-ის მაგალითზე.

კულტურა იქმნება და იგი ისწავლება. მას ქმნიან ინდივიდები და თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურა აყალიბებს საზოგადოების სრულფასოვან წევრებს და ამავე დროს, რაღაც დოზით, მათ ქცევებს აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მედია სივრცეში, პოლიტიკური ფონის „წყალობით“, კულტურის თემების გაშუქება მინიმუმადეა დაყვანილი, ჩვენი საკვლევი ჟურნალები „თეატრი“ და „არილი“ ამ მხრივ გამონაკლისია და ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროს ნიჭიერი წარმომადგენლების „თავშეყრის“ ადგილია.

რაც შეეხება, ამერიკულ პრესას, კულტურის საკითხების ინტენსიურად გაშუქების კუთხით, არა მარტო სახელოვნებო, მათ შორის, ჩვენ მიერ განხილული „ARTFORUM“ და „Art in America“, არამედ ყველა მიმართულების ჟურნალი და გაზეთი გამოირჩევა.

ბეჭდვითი მედია არის სერიოზული და პრესტიჟული მედიასაშუალება და მას ხელშეწყობა სჭირდება. პრესის ზეგავლენა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ამერიკაში, ჯერ კიდევ ძალიან მაღალია. რაც შეეხება ქართულ პრესას, ის, აშკარად კრიზისშია და ხელისშეწყობა სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ნელ-ნელა საბოლოოდ გარდაიქმნება ელექტრონულ მედიად და ეს არასახარბიელო გავლენას იქონიებს არა მარტო მედიაზე, არამედ ქართული საზოგადოების ზოგად კულტურაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:


- ბურდიე პ., გემოვნების განსჯის სოციალური კრიტიკა, 1992.
- ოთხოზორია ვ., გავლენა და ინტერპრეტაცია, ჟურნალი თეატრი, #1, თბ., 2023.
- ჩხარტიშვილი ლ., ერთმორწმუნე მტრის მიერ ერთმანეთის მოძულედ ქცეული საზოგადოება, ჟურნალი თეატრი, #3, თბ., 2022.
- ოჩიაური ლ., ხედი სასტუმრო საქართველოდან – პანორამით საქართველოზე, ჟურნალი თეატრი, #2, თბ., 2020.
- ფირალიშვილი ზ., ჟურნალი არილი, #1, თბ., 2020.
- ტრაპაიძე ნ., ჩიხი და ილუზია. ჟურნალი არილი, #2, თბ., 2019.
- გლიკი ლ., უმილის ხელოვნება, ჟურნალი არილი, #6, თბ., 2021.
- Rocco La. C., Window on the World, Magazine ARTFORUM, #10, New York, 2023.
- Simpson L., Magazine ARTFORUM, New York, 2023.
- Battaglia A., The Space in Which to Place Me, Magazine Art in America, #12, New York, 2023.

# DISCURSIVE DIVERSITYOF ART IN LIGHT OF MEDIA ON THE EXAMPLE OF GEORGIA AND AMERICA

Asmat Tsereteli

***Keywords:*** *media, culture, art, discursive diversity*

Culture and art are a fundamental part of social life and relationships, encompassing all aspects of social life: values, views, beliefs, traditions that are passed down from generation to generation. Over the years, cultural taste, together with the social environment, has been formed under the influence of society. And the media have infinitely expanded this field and created a completely new sphere of this spectrum.
In art, two times two is not always four. An artwork should be viewed firstly as an artistic event, and not as a journalistic one, i.e. the essence is no less important than the content. It is often argued whether art improves a person, if it can ennoble one. In the ephemeral discourse of art, a popular and yet shallow questions common to jurisprudence and philosophy arise: Why does a person commit a crime? or Where does thinking come from?
We will discuss the discursive diversity of art in the context of media using the example of Georgian and American magazines: Theater, Arili, Art in America, ARTFORUM.

Cultural journalism is of great importance for the formation of an informed and democratic society. Together with the cultural sphere, it also provides society with important and necessary information for making prudent decisions. "Cultural taste is a phenomenon formed as a result of the social existence of an individual similar to the society and group to which this individual belongs".[1] In our research journals: *Theater, Arili, ARTFORUM,* and *Art in America* art is presented in the context of media with discursive diversity. In the first issue of Theater magazine for 2023, in the alternative section, a rather interesting essay by Valery Otkhozoria, Impact and Interpretation, was published presenting the vision of many thinkers on the relationship between art, life. and the formation of a person. According to Freud, fundamental human suffering is caused by three main reasons: mortality, aging of the body and vulnerability to the elements of nature. "According to psychoanalytic theory, the unconscious (an irrational symbol) is the underwater part of the iceberg, and consciousness is only the tip. Thinking is exotic by its very nature; it strives outward, ultimately to infinity." [2]

"Thanks" to the political background, topics in the Georgian media are often politicized, even when discussing cultural issues. But there are topics, coverage of which is not only a necessity, but also a duty not only for cultural media, but also for the Georgian media space as a whole, for example, the topic of occupation.

The first issue of Theater for 2022 features Lasha Chkhartishvili's review of the play *Queen of Guria,* staged by director Gocha Kapanadze at the Ozurgeti Theater. The title of the review is Society Turns into Haters Because of a Common Enemy. The topic, as the title shows, is not only a problem of the first half of the 19th century, but also a problem of contemporary Georgian reality. The rhetorical question in the play: "How did the enemies of one faith make us hate each other?" in a way sums up of the past and the present and sounds like a slogan.[3]

The same theme of occupation is echoed in Lela Ochiauri's review *View from the Georgia Hotel with a*

1 Pierre Bourdieu (1930-2002) is a French sociologist. "Individual and society" (Bourdie 1990, p.31).
2 Otkhozoria V. "Influence and interpretation", "Theater" magazine, 2023, #1,p 50-61.
3 Chkhartishvili L. "Theatre" magazine, 2022, # 1, pp. 4-9.

*Panorama of Georgia,* published in the 2nd issue of *Theater* for 2020.

The play, supported by the Inclusive Projects program, debuted at the Silk Theater. According to the author, the confinement of IDPs by the occupiers is not in their souls, but in the surrounding reality. The play, in which blind amateur actors take part along with professional artists, is an impressive acting performance that shows that restrictions do not really exist, all barriers can be overcome. when people are ready to do something together. "The play is sad and hopeful, hopeful, because deep down we all believe that Georgians and Abkhazians will definitely meet... go and watch the film dubbed in Abkhaz with Georgian subtitles... we can exist together both in the play and in cinema, and, most importantly, in reality."[4]

Our era is one of rational communications and communicative rationalism. In this global world, art and literature are results of experience, thought and speech that preserves the cultural and national identity of a nation. In this landscape, freedom of expression through the media is paramount. Arili magazine interestingly discusses the coexistence of art, literature, media and society in terms of the discursive diversity of art. Society always expects cultural inversions. It is expected, because such an inversion is not simply the air that makes it possible to breathe in a vacuum, but because it is true. Literacy essentially means this cultural inversion. This is both its aesthetics and mind.

In art and literature, silence is the most radical and severe form. About most shocking form of creative pause, unacceptable for an artist, is discussed by American writer, winner of Nobel Prize Louise Glick in an interview *The Art of Silence,* recorded in 2014 and published in the 6th issue of Arili in 2021. "Repeating what has already been said once should not give us peace of mind. This is a great failure, because art does not seek to prove in any way what exists, but seeks to reveal the hidden and invisible"[5]

The discursive variety of art is expressed on the pages of ARTFORUM magazine, focusing mainly on the works of modern and classical artists, under the following headings: Columns, Features, Reviews, Interview, Top Ten, etc. The magazine's October 2022 issue features Claudia La Rocco's article, *Window on the World,* about the work of artist Simone Forti, who was born in Italy and grew up in Los Angeles. Fort observes: "You can look at me from the window!" The right window is a great teacher!" The author of the article generalizes this saying of the artist with the general theory of the necessity of the right approaches and being in the right place at the right time, which is relevant and necessary in all fields, including art.

ARTFORUM is especially big on publishing works by female artists. Lorna Simpson is an American photographer and multimedia artist whose works has been exhibited several times, both nationally and internationally. In 1990, she became the first African-American woman to be exhibited at the Venice Biennale.

The influence of Art in America, both in America and international media, lies in its years-long promotion of the study and popularization of more than one direction of art. The April 2022 issue featured a review of American artist Robert Colescott's exhibition at the New York Museum of Art, titled *Art and the Meaning of Race.* The artist's creative style completely contrasts with the troubling and sometimes politically incorrect commentary on race in America in the history of painting.

In the December 2023 issue of Art in America, the magazine's executive editor Andy Battaglia tells readers about the Venice Biennale, where the US was represented by the work of Jeffrey Gibson. He became the first Indian American artist to conquer the United States Pavilion at the Venice Biennale with his solo show *The Space in which to Place Me.* In his paintings and beaded extravaganzas, Gibson depicts American stories. As the magazine writes, it took a long time for the discrimination of colored artists in America to disappear before the world was ready to recognize their works.

Art in America has an annual supplement, *New Talent,* a kind of reboot of the publication with new features, stylish design and an interesting approach to the cover. It is *New Talent* that introduces readers to emerging artists who are on the world art scene every year. appear.

In this paper, we discussed the discursive diversity of

4 Ochiauri L. "View from the hotel "Georgia", "Theatre" magazine, 2020, #2, p. 18-29.

5 Glik L. "The art of silence", "Aril" magazine, 2021, #6, pp. 1-7.

art in the context of media, using two Georgian and two American magazines as examples: Theater, Arili, Art in America, and ARTFORUM.

Culture is created and learned. It is created by individuals and passed on from generation to generation. Culture forms full-fledged members of society and, at the same time, to a certain extent, controls their behavior. Despite the fact that coverage of cultural topics in the Georgian media space is minimized, "due" to political overtones, our research magazines, Theater and Arili, are an exception in this regard and are a "gathering place" for talented representatives of the arts and literature.

As for the American press, not only art magazines, including those we discussed, ARTFORUM and Art in America, stand out for their intensive coverage of cultural issues, but also magazines and newspapers of all directions.

Printed media are serious and prestigious outlets, and they need to be promoted. The weight of the press all over the world, including in America, is still enormous. As for the Georgian press, it is clearly in crisis and needs help. Otherwise, it will eventually transform into electronic media, and this will have a negative impact not only on the media, but also on the general culture of Georgian society.

REFERENCES:


- Ochtozoria V., "Influence and interpretation". Magazine "Theater" Tbilisi, 2023, №1, p. 50-61.
- Chkhartishvili L. "A society turned into haters by one believing enemy". Magazine "Theater", Tbilisi, 2022, №1, p. 4-9.
- Ochiauri L. "View from the hotel "Georgia," with a panorama of Georgia". Magazine "Theater", Tbilisi, 2020, #2, p. 18-29.
- Firalishvili, Z. Magazine "Aril", Tbilisi, 2020, №1
- Trapaidze, N. "Dead end and illusion". Magazine "Aril", Tbilisi, 2019, #2, p. 47-50.
- Glick, L. "Art of silence". Magazine "Aril", Tbilisi, 2021, #6, p. 1-7.
- Rocco, La. C. "Window on the World". Magazine "Artforum", New York, 2023, # 10.
- Simpson, L. Magazine "ARTFORUM", 2023.
- Battaglia, A. "The Space in which to place Me". Magazine "Art in America", 2023, #12.